საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского Районного Совета народных депутатов

№92 (6318) ხუთშაბათი 2 აგვისტო 1990 წელი ფასი 4 კაპ.

ხილის მოსავალი კარგია

ხილის დამზადების დავალების შესრულების საფუძველი არის ცაგერის კოლმეურნეობაში. როგორც საკარმიდამო, ისე საზოგადოებრივ მეურნეობაში კარგად ასხია კურკოვან და თესლოვან ხილს.

აქ გარკვეულ ფართობზე აქვთ წითელი ჯიშის ტყემალი, რომლის კრეფას უკვე შეუდგნენ №1 და №2 ბრიგადების (ხელმძღვანელები ნ. საღინაძე და ვ. გოგიძე) მშრომელები.

წელს კურკოვანი და თესლოვანი ხილი ცაგერელებს 125 ტონა აქვთ დასამზადებელი.

17 ტონა კურკოვან ხილს, რაც გეგმითაა გათვალისწინებული, მარტო ტყემლის მოსავლით შეასრულებენ.

გამოვიჩინოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა

„სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების შექმნის აკრძალვისა და უკანონო შენახვის შემთხვევებში იარაღის ჩამორთმევის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების რეალიზაციის უზრუნველყოფის ღონისძიებანი განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე.

ეს იყო ერთადერთი საკითხი, რომელიც შეიტანეს დღის წესრიგში, ხოლო მის უაღრესად დიდ მნიშვნელობას მოწმობს თუნდაც სხდომაზე მოყვანილი ასეთი ფაქტები. ამ ბოლო დროს ოპერატიული ვითარება საქართველოში უაღრესად გამწვავდა, გაუარესდა სამართალდარღვევებთან ბრძოლის მდგომარეობა. გახშირდა მილიციის განყოფილებებზე, სამხედრო და სამოქალაქო დაქვემდებარების ობიექტებზე თავდასხმის შემთხვევები იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით. მოსახლეობაში დაგროვილი იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერებანი მძიმე დანაშაულობათა ჩადენის პოტენციურ საფრთხეს ქმნის. ზოგიერთ რეგიონში აღინიშნება შეიარაღებულ ფორმირებათა თვითნებური შექმნის ფაქტები. ყოველივე ეს ხდება სხვადასხვა დონის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობის გამოვლენის ფონზე, რომლებიც არ ახორციელებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ღონისძიებებს. პროვოკაციულად იწვევენ დაძაბულობას, ხდება ვითარების დესტაბილიზაცია, საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლეს. მოვლენათა ამგვარი განვითარება რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენების სამართლიან აღშფოთებას იწვევს, სერიოზულად აბრკოლებს მის წინაშე მდგომი პირველი რიგის ამოცანების გადაწყვეტას.

განხილვის დროს გამოსულ მთავრობის წევრებს, სამინისტროთა და უწყების ხელმძღვანელებს შეჰქონდათ კონკრეტული წინადადებანი და შენიშვნები. კერძოდ, ითქვა, რომ საჭიროა განამტკიცონ სამართალდაცვითი ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფის გზით, არამედ ნაკლებეფექტიანი სფეროებიდან ფინანსური სახსრების გარკვეული გადაწყვეტილების გზით.

მიღებული დადგენილებით გათვალისწინებულია შეიქმნას სსრ კავშირის პრეზიდენტის 25 ივლისის ბრძანებულების რეალიზაციისათვის მთელი მუშაობის კოორდინაციის რესპუბლიკური შტაბი. მისი თავმჯდომარე გახდა ნ. ა. ჭითანავა, ხოლო შემადგენლობაში შევიდნენ სამართალდაცვითი ორგანოების პირველი ხელმძღვანელები. ადგილებზე დასახული მუშაობის დიდი ეფექტიანობის მიზნით მიღებულია წინადადება, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრები პერსონალურად მიუჩინონ რეგიონებს, რომელთა ხელმძღვანელობასთან ექნებათ მუდმივი კავშირი ძალისხმევის კოორდინაციისათვის.

განისაზღვრა სხვა ღონისძიებებიც, რომლებმაც უკეთესობისაკენ უნდა შეცვალონ ოპერატიული ვითარება, რესპუბლიკაში ამ საგანგებო ამოცანის გადაწყვეტაში მართლწესრიგის ორგანოებთან ერთად ჩაებან საზოგადოებრიობის ფართო ფენები.

(საქინფორმი).

ახალი ცნობები

● საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონოდ შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების რეალიზაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა საკითხი; მიიღო მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი უკანონოდ დაგროვებული იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების თაობაზე.

● საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავას ხელმძღვანელობით გაიმართა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის რესპუბლიკური შტაბის სხდომა.

● 30-31 ივლისს მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონ-პროექტების მოსამზადებელი კომისიის სხდომები გივი გუმბარიძის ხელმძღვანელობით. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება პრესაში გამოქვეყნდეს ყველა კანონ-პროექტი იმათი ჩათვლით, რომლის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დასი, „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციები, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია და სახალხო ფრონტი. კომისიამ საჭიროდ ჩათვალა სესიის მოწვევამდე არ განხორციელდეს „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონოდ შენახვის შემთხვევებში მისი ჩამორთმევის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიებები, რათა ამან ხელი არ შეუშალოს კანონ-პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვას.

წელსაც პირნათელი

საშა ხაბულიანს ზარაგულაში გამრჯე ქალის სახელით იცნობენ. სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად (ლუხვანოს სასოფლო საბჭოს მდივანია) სოფლის მშრომელთა გვერდით დგას შრომაშიც, ჭირშიც და ლხინშიც.

აბრეშუმის ჭიის მოვლის კარგი გამოცდილება აქვს საშას. მის ანგარიშზე ყოველწლიურად გეგმაზე მეტი აბრეშუმის პარკი მოდის. არც წელს უღალატა გაცემულ სიტყვას და აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა ორმაგად შეასრულა.

საშა ხაბულიანის ოჯახი შრომის სხვა უბანზეც აქტიურობით გამოირჩევა, სოფლის სასიკეთოდაც შრომობენ და საკუთრივ ოჯახის მეურნეობასაც აძლიერებენ.

სურათზე: საშა ხაბულიანი.

ზ. გზოგბავას ფოტო

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომში

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომში ჩატარდა საზოგადოებრივ მეურნეობათა გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის ღონისძიებათა რაიონული კომისიის გაფართოებული სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რაიონის აქტივი.

ინფორმაცია საზოგადოებრივ მეურნეობათა გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის შესახებ გააკეთა რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის უზრუნველყოფის რაიონული კომისიის თავმჯდომარემ, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. სვანიძემ.

შემუშავდა კოლმეურნეობებში გლეხურ მეურნეობაზე გადასვლასთან დაკავშირებული კრებების ჩატარების გრაფიკი.

განხილულ იქნა გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის სამოქმედო დროებითი დებულება.

რაიონის მშენებელთა კავშირის საინიციატივო ჯგუფის მიმართვა

რაიონის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ ორგანოებს

ქვეყანასა და რესპუბლიკაში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა რაიონის სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობაზე.

ბოლო პერიოდში გამოსულმა კანონებმა, კერძოდ კანონმა „კოოპერაციის“ შესახებ, კანონმა „საწარმოს“ შესახებ, სამშენებლო ორგანიზაციებს მნიშვნელოვნად გაუფართოვა უფლებამოსილება. აღნიშნული კანონების საფუძველზე მშენებელი უფლებამოსილია თავისი ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე უშუალო კონტაქტი დაამყაროს დამკვეთ და მომწოდებელ ორგანიზაციებთან. მაგრამ არსებული ბიუროკრატიული სისტემის, ზემდგომი და მაკონტროლებელი ორგანოების სიმრავლის პირობებში, კანონის ძალაში შესვლას წინ უამრავი დაბრკოლება ელობება და ვერ განხორციელდება. სწორედ ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ ცალკეული ზემდგომი და მაკონტროლებელი ორგანოების მიერ კვლავ ადგილი აქვს ძველებური სტილით, საქმის რეალური არსის ანალიზის გარეშე მილებულ გადაწყვეტილებებს და დირექტიულ ბრძანებებს.

არავინ ითვალისწინებს მასალების, სატრანსპორტო საშუალებების, შრომითი რესურსების სისტემატური გაძვირების პროცესს, ეს უკანასკნელი კი სრულიად არ შეესაბამება ამჟამად მოქმედ სამშენებლო ნორმებს და სტანდარტებს.

აღნიშნულმა გარემოებამ არა მარტო მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა ორგანიზაციები, არამედ არის რეალური საფრთხე, რომ სამშენებლო ორგანიზაციების ფუნქციონირება საერთოდ შეუძლებელი გახდეს უახლოეს დროში. ეს კი მოგეხსენებათ დამღუპველია რაიონის ეკონომიკისათვის და საერთოდ ხალხისათვის.

დღეისათვის მოქმედი შრომის ანაზღაურების ნორმები იძულებულს ხდის სამშენებლო ორგანიზაციებს, წინასწარი განზრახვით, ყოველგვარი პიროვნული დაინტერესების გარეშე დაუშვან ათასგვარი უკანონო ოპერაციის ჩატარება, რაც შემდგომ რეგირების საბაბი ხდება ნებისმიერი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვაცხადებთ:

1. სასწრაფოდ იქნას უარყოფილი მშენებლობაში ამჟამად მოქმედი სამშენებლო ნორმები და სტანდარტები. რესპუბლიკური მთავრობის მიერ ახალი ნორმების შემუშავებამდე შემოღებულ იქნას დროებითი სახელშეკრულებო ფასები 1990 წლის 1 აგვისტოდან.

2. სანამ ჩვენს წინაშე არსებული პრობლემები არ გადაწყდება, არც ერთ სამშენებლო ორგანიზაციაში არ იქნება დაშვებული არც ერთი მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელი.

ჩვენი განცხადების უგულებელყოფის ყოველი ფაქტი ჩვენს მიერ განიხილება, როგორც მშენებელთა უფლებების შელახვა და მივმართავთ მკაცრ საპროტესტო აქციებს.

რაიონის მშენებელთა წინაშე არსებული პრობლემების და წინააღმდეგობების დეტალური ანალიზი და მოთხოვნები უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება.

რაიონის მშენებელთა კავშირის საინიციატივო ჯგუფი:

მ. ხეცურიანი, ქ. ყურაშვილი, ს. თვარაძე, ა. კვირკაშვილი, ა. კიზირია, ა. ხვადაგიანი, რ. დავითულიანი, ო. გიორგობიანი, ჯ. გაბისონია, ვ. სილაგაძე, კ. გოგიძე, ი. მდივანი, ა. გოგიძე, შ. ომანაძე, გ. ნემსწვერიძე, ლ. ნემსწვერიძე.

თვალსაზრისი

როცა სხვებს მორალს უკითხავენ

სხვისი ხელით ჭინჭრის კრეფა ადვილიაო, უთქვამს ჩვენს წინაპარს. ეს პირდაპირ მიესადაგება ზოგ-ზოგიერთების გამოსვლას ტელევიზიით იქნება თუ პრესის ფურცლებზე. სამწუხაროა, რომ საკმაოდ ერუდირებული, ცხოვრებაში ჩახედული ადამიანები გაჰყვირიან, რატომ დაიცალა მაღალმთიანი სოფელიო, ბრალს სდებენ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის პროცესებს, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების შექმნის პროცესს. ჩემის ღრმა რწმენით ისინი ბევრ რამეში სცოდავენ ქვეყნის, ერის წინაშე.

ჩემი ხნის, ბევრის მომსწრე კაცს, ვფიქრობ, დამეჯერება. დიდი სამამულო ომის პერიოდში, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ქვეყანას, ფრონტს ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს. თუ კოლმეურნეობები ბოლო ოცწლეულში ეკონომიურად დასუსტდნენ, ამაში სისტემა კი არ არის დამნაშავე, დამნაშავენი თავად მეურნეობათა ხელმძღვანელები და ყველანი ვართ ერთად. ამიტომ უნდა ვეძიოთ გამოსწორების გზები. ინტერესმოკლებული არ იქნება ავხსნა თუ როგორი იყო. მაგალითად, ისეთი პატარა მეურნეობა, როგორიცაა ტვიშის კოლმეურნეობა. მე ცოცხალი მემატიანე დავუმტკიცებ ყველას თუ როგორი იყო ეს თუ შორეულ წარსულში საკრებულო კოლმეურნეობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ზოგ-ზოგები სხვებს უკიჟინებენ: რატომ ტოვებთო სოფელს. ის კი ავიწყდებათ, რომ თვითონ ეს ვაჟბატონებიც თვალის დაუხამხამებლად წავიდნენ სოფლიდან, მიიღეს უმაღლესი განათლება და სოფლისაკენ კი არ იბრუნეს პირი, მოკალათდნენ დედაქალაქში. ზოგი მწერალია, ზოგიც სხვა პროფესიის. დაავიწყდათ სად აიდგეს ფეხი. სად დაფრთიანდნენ. რატომ არ შეიძლება მწერალმა, მხატვარმა იცხოვროს სოფელში და შექმნას თავისი ნაწარმოებები. მაგალითად ჩვენი საამაყო ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი სოფელში ცხოვრობდნენ, ოტია იოსელიანი ახლაც სოფლად ცხოვრობს და ქმნიდნენ და ქმნის უკვდავ შედევრებს.

დროა სიმართლე ბოლომდე ითქვას. ბოდიშს გიხდით მხილებისათვის, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. სხვისთვის მორალის კითხვას თავი გავანებოთ, მორალი საკუთარ თავს წავუკითხოთ, დროა რა პროფესიისაც არ უნდა ვიყოთ, ხელი მოვკიდოთ პრაქტიკულ საქმიანობას.

მინაწერი: მე შეგნებულად არ ვასახელებ კონკრეტულ პირებს, ვინაიდან სამწუხაროდ ძალიან ბევრია.

აღ. ნემსწვერიძე,

ომის, შრომისა და პარტიის ვეტერანი.

სოფ. ტვიში.

სამგზავრო: გაჯოსავალი ყველან უნდა ვეძიოთ

უკვე მეხუთე დღეა გრძელდება სატრედიის სარკინიგზო მაგისტრალის პიკეტირება, რომელიც წმინდა ილია მართლის საზოგადოების ინიციატივით მოწყო. 30 ივლისისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო ნაკადის განყოფილების მონაკეთზე 17 სახალხო და 50 სატვირთო შემადგენლობა იდგა.

თუ თავდაპირველად მგზავრთა რიცხვი 6 ათასს შეადგენდა, დღეისათვის უმეტესობა გადაყვანილია ავტობუსებით. ამჟამად 340 მგზავრი იმყოფება ახალციხეში, 80 რიონში, 120 ლეხუმის რკინიგზის სადგურში. შეწყვეტილია ხორბლის ჩატვირთვა ბათუმისა და ფოთის ელევატორებში. 30 ივლისის დილისაკენ ამ აქციის გამო ზარალმა 2.500000 ათას მანეთს გადააჭარბა. რკინიგზის ტრანსპორტის მილიციისა და პროკურატურის მუშაკები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ არ გაიძარცვოს სხვადასხვა გადასარბენებსა თუ ჩიხებში დარჩენილი ვაგონები.

ჩვენი მოთხოვნები ფაქტობრივად ოცივე რჩება,—უთხრა საინფორმაციოს კორესპონდენტს ილია მარტვილის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზვიად ძიძიგურმა.—განსაკუთრებულად უნდა გამოქვეყნდეს უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნების კანონის პროექტი. თანაც იგი უნდა განიხილოს სესიამ, რომლის მოწვევის ვადები არაფრით არ შეიძლება გადასცილდეს 7 აგვისტოს. ამ შემთხვევაში ჩვენ მთლიანად გეთანხმებით რესპუბლიკის სახალხო ფრონტის მიერ შემოთავაზებულ გადებს. ვინაიდან სხვა შემთხვევაში არჩევნების მისაზღვარ, რომელზეც ქართველი ერი ასეთ დიდ იმედებს ამყარებს, დრო აღარ რჩება, ამასთან სამტრედიაში უნდა ჩამოვიდნეს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი და მრგვალი მაგიდის წარმომადგენლები, რომელთა დიალოგის შედეგად უნდა განისაზღვროს ჩვენი მოთხოვნების დაკვის გარანტიები.

* * *

31 ივლისს აქცია რკინიგზიაზე შეწყდა.

აფაღორძინოთ ქართული მეაბრეშუმეობა

ღმერთმა შეარგოს!

თუთის ფოთლის დაავადებამ ისე დაატყო თავისი კვალი ქართულ მეაბრეშუმეობას, რომ 5 წლის წინ 60-70 კილოგრამიან მიჯნას თუ რომელიმე მეაბრეშუმე გასცდებოდა, საოცარი მოსავლად ითვლიდით.

ამ ბოლო წლებში მეაბრეშუმეობის საკვები ბაზა მოძლიერდა, წამახალისებელი ღონისძიებანიც დაინერგა, ანაზღაურებაც გაცილებით მაღალია, და ბუნებრივია, ქალებიც ახლა უფრო მეტი გულმოდგინებითა და ერთგულებით შრომობენ. გსიამოვნებს. მაგრამ ჩვეულებრივ ნორმად იქცა 100-150 კილოგრამი პარკის ჩაბარება ერთი ოჯახისაგან.

ბევრისგან იმასაც გაიგონებთ, ავტომანქანებია გათვალისწინებული მოწინავეებზე, სხვა რაღაც შეღავათები და ბევრმა თავიც იმიტომაც გადასდოო. ჯერ ეს ერთი, აბრეშუმის ჭიის მოვლა ვისაც ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, ისევ უველის ძველებური სიყვარულით და ერთგულებით და თუნდაც ვარკვეული შეღავათები ამოძრავებდეს, ამაში თავისთავად რა უნდა იყოს ცუდი, პირიქით. ღმერთმა გვიმრავლოს სახელდებული ქალები და ნურც ჩვენ დაგვენანება მათთვის ნურც სიტყვა და ნურც წახალისება.

მზია ბურჯალიანი ლაჯანელი მეაბრეშუმეა. მისი ოჯახი ყოველთვის გამოირჩეოდა აბრეშუმის ჭიის მოვლით, კარგი მოსავლით. ოჯახის ტრადიციაა ეს საქმე. წელს მზიამ 52 გრამი ჭია დაისვა მოსავლელად.

სხვა უამრავ საზრუნავთან ერთად, ეს შრომატევადი სამუშაოც თავისთავზე აიღო. როცა ჭიები „დიდკანიდან ამოვიდნენ,“ მთელი ოჯახი ჩაება საქმეში. ამის შემდეგ 7 დღეღამე უნდა, როგორც წესი, კვება ჭიას და მერე რა კვება—დაფარავ ფოთლით, მოიტ-ედავ უკან და ისევ „შია“. კარგი კვებითა და მოვლით, სითბო-ჰაერაციით მე-6 დღეს ნიშანი მისცა ჭიამ, მერე ერთბაშად შეესია ცახებს.

—საოცარი განცდაა, ამბობს მზია, ერთი მატლი რომ არ მოკვდება, ცახები რომ გაივსება და გული საგულეს ჩაგიდგება, თითქოს არც დაღლილიყო, ოფლი არ მოგედინოს.

მზიამ წელსაც კარგი რთველი დაიყენა—184 კილოგრამი შემატა ქართული აბრეშუმის პარკის ხვავს.

მზია ბურჯალიანმა კარგი ქალობაც დაიმსახურა კარგი შრომით და კარგი ანაზღაურებაც. ღმერთმა შეარგოს!

მ. გურული.

აკაკი დოკუმენტურ ფილმებში

აქ განვიხილავ ვასილ ამაშუკელის მიერ შექმნილ პირველ ქართულ სრულმეტრაჟიან „მუნჯ“ კინონარკვევს და რეჟისორ ალექსანდრე მამულაშვილის მიერ გადაღებულ ორ პოპულარულ ხმოვან ნაწარმოებს.

ისტორიულ-დოკუმენტური კინოფილმის „აკაკი წერეთლის მოგზაურობა. რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“ დედანი არ დაკარგულა. მხოლოდ ის იყო, რომ დიდხანს დაივიწყეს, აღარ ახსოვდათ.

1946 წელს მე გამოჩნდა აზრი ფილმის მოძებნის შესახებ და ვესაუბრე ვასილ ამაშუკელს.

მან მითხრა: დედანი (პოზიტივი) საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში მეგულება, მაგრამ ამისათვის თავს ნუ შევიწუხებთ. სულერთია, რომ მოვნახოთ, ფილმს ეკრანზე ახლა მაინც არავინ გაუშვებსო. იმიტომ, რომ ჩემს ფილმში გადაღებულია და მოჩანს ნიკორწმინდისა და ბარაკონის ტაძრები და მონაწილეობენ მღვდლები. დიდი ხანია ეკლესიისა და მღვდლის სურათებს გაზეთში არ აქვეყნებენ და ამ „წესს“ კინოც იცავსო.

ვასილ ამაშუკელმა გულისტკივილით თქვა სიმართლე, მიზეზი და დაბრკოლება—საკვირველი და სამწუხარო.

მომავალ თაობას გაუჭირდება დაიჯეროს და ახლაც კი წარმოუდგენელია ფიქრი იმაზე, რომ ჩვენში რამდენიმე ათწლეულს არსებობდა და უკვე განვლეთ ასეთი ბნელი ანტირელიგიური პერიოდი.

მაშინ (1946 წელს) ვასილ ამაშუკელის რჩევა მე არ მივიღე და ჩემი სურვილი ასე ჩამოვაყალიბე—ვუთხარი: გასაგებია, დღეს ამ ძველ ფილმს მაყურებელი რა მიზეზით ვერ იხილავს, ჩვენ მაინც გავაკეთოთ სასარგებლო საქმე: წერილი დავბეჭდოთ გაზეთში, მას ვინმე კინომცოდნე გამოეხმაურება, გაარკვევს, ფილმი თუ არსებობს სადმე ან მოიძებნის და უპატრონებს (დაიცავს)-მეთქი; ბოლოს და ბოლოს კადრებს ამ ფილმიდან კინოსტუდია გამოიყენებს სხვა ახალი დოკუმენტური ნაწარმოებისათვის.

ვასილ ამაშუკელის დასტურით 1947 წელს პრესაში აღვძარი საკითხი კინოფილმის აღდგენის შესახებ (იხ. გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, №53 1947; ჩემი წიგნი „აკაკი წერეთელის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. 1947. გვ. 71).

ამ საკითხით დაინტერესდა კინოისტორიკოსი და დრამატურგი კარლო გოგოძე და შეუდგა ვასილ ამაშუკელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლასაც. თავის სიცოცხლეში ის ძირითადად ამ თემაზე მუშაობდა. კარლო გოგოძემ 1953 წელს საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში მოძებნა ფილმის ძირითადი ნაწილი. 1200 მეტრი ფირიდან შემორჩა 600 მეტრი და ისიც დაიღუპებოდა, დროზე რომ არ გვეზრუნა და არ მიგვესწრო. (დედანი ძალზე დაზიანებულა, არ იყო სათანადოდ შენახული და მოვლილი).

აღდგენილ ისტორიულ „მუნჯ“ ფილმს 1955 წლიდან უჩვენებენ რესპუბლიკაში აკაკი წერეთლის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით.

სამახსოვროა ცნობილი ფრანგი კინოისტორიკოსის ჟორჟ სადულის ნათქვამი: მთელი მსოფლიოს სინამდვილეში 1912 წლამდის შექმნილს ასეთი მოცულობის სხვა სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს მე არ ვიცნობ.

გადარჩენილ და აქამდე მოღწეულ ფილმში სახალხო ზეიმი მაინც ცხადად იგრძნობა. ცოცხალი აკაკის სახე მაყურებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

დარბაზს უსაზღვრო სიხარული მოიცავს, როცა ეკრანზე რამდენჯერმე გამოჩნდება სავარძელში ჩამჯდარი აკაკი, რომელსაც პატივისცემის ნიშნად ხელით ატარებენ. აკაკიც ფერხულში ებმება და ბავშვებს ეალერსება. ფილმში ძირითადად ხალხი მოქმედებს.

მაყურებელი ეცნობა რაჭა-ლეჩხუმის ახლო წარსულს; ძველებურ დაბებსა და სოფლებს, გარდასულ ყოფა-ცხოვრებასა და ზნეჩვეულებებს. მომხიბვლელად ასახულია რაჭა-ლეჩხუმის წარმტაცი ბუნება—რიონის, შაორისა და ლაჯანურის ხეობები.

ახალგაზრდა ოპერატორი ნიჭიერ შემოქმედად გვევლინება. მას ბევრი მომენტი ოსტატურად აქვს დაჭერილი და გამოყენებული. მხატვრის მახვილი თვალი და ფაქიზი გემოვნება ყველა კადრში იგრძნობა.

ვასილ ამაშუკელის ნაწარმოები ქართული კინოხელოვნების შემდგომ სწრაფ აღმავლობასაც ადასტურებს.

„ხელოვნებამ“ 1979 წელს გამოსცა ამაშუკელისეული კინოფილმის კადრთა ფოტოალბომი (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე—შერჩეულია 90 კადრი). კრებულის ავტორ-შემდგენელია კარლო გოგოძე.

წინათ პრესაში მე აღვძარი საკითხი და ახლაც მოვითხოვ, რათა შეიქმნას განახლებული ხმოვანი დოკუმენტური კინოფილმი—„აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“.

ვასილ ამაშუკელისეული „მუნჯი“ ნაწარმოების გადასამუშავებლად უნდა დაიწეროს სცენარი. საჭიროა ფილმი შეივსოს და გამდიდრდეს მხატვარ კოტე ქავთარაძისეულ ფოტოალბომში ასახული უცნობი მომენტებით. ახლად გადაიღება ისტორიული ადგილები (ბუნებისა და კულტურის ძეგლები) და ხალხური სანახაობანი. გახმიანებისათვის ძვირფასი ცნობილი ტექსტები გვაქვს. ამ სანდო წყაროებზე დამყარებული სრულიად ახალი ფილმი მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებას ყოველთვის დააკმაყოფილებს.

1964 წელს თბილისის კინოსტუდიამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაკვეთით გამოუშვა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, რაც უკვდავი მგოსნის მრავალფეროვან ცხოვრებასა და შემოქმედებას ნათლად აშუქებს. მისი დამდგმელ-რეჟისორი იყო ალექსანდრე მამულაშვილი.

ეს ნაწარმოები („აკაკი წერეთელი“) ერთგვარ ლიტერატურულ მონტაჟსაც შეიცავს, რადგან მასში ჩართულია კადრები ცნობილი მხატვრული ფილმებიდან „აკაკის აკვანი“ და „ბაშიაჩუკი“ და დოკუმენტური ფილმიდან „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. აგრეთვე აქ უხვადაა გამოყენებული ფოტოდოკუმენტური მასალაც.

ფილმი გვაცნობს პოეტის ბავშვობას სოფელ სხვიტორში, მის ყოფნას ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტში, აკაკის ურთიერთობას მის თანამედროვე მოღვაწეებთან (წარმოდგენილი არიან ნიკოლოზ ჩერნიშევსკი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, ივანე მაჩაბელი, ვაჟა ფშაველა), აკაკის დამოკიდებულებას ქართულ პრესასთან, თეატრსა და საოპერო ხელოვნებასთან, ნაჩვენებია აკაკისა და მაქსიმ გორკის, აკაკისა და ტარას შევჩენკოს ახლო ნაცნობობაც.

ფილმში „ბაში-აჩუკის“ გარდა, ინსცენირებული სახით დამუშავებულია აკაკის პოემები—„თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „გამზრდელი“.

აკაკი წერეთელი წარმოთქვამს სიტყვებს კახეთში, „ილიობის“ მეორე დღეს, და მთაწმინდაზე, ილია ჭავჭავაძის ნეშტთან.

ვეცნობით აკაკის იუბილეს თბილისის ოპერის თეატრში და ვაჟა-ფშაველას დაუვიწყარ გამოსვლას ამ ზეიმზე.

ნაჩვენებია აკაკის მოგზაურობანი კახეთში, გორში, ქვემო იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში.

დასასრულ—მგოსნის გარდაცვალება და დაკრძალვა. ფილმი მდიდარია აკაკის ჩანგზე აუღერებული სიმღერებით.

კინოფილმში მონაწილეობენ მსახიობები: ნატო ვაჩნაძე, თამარ ციციშვილი, სანდრო ყორჟოლიანი, კოტე მიქაბერიძე, გიორგი შავგულიძე, სპარტაკ ბაღაშვილი... მოხუც აკაკის როლს ასრულებს მიხეილ უვარელაშვილი. სცენარის ტექსტს კითხულობს ეროსი მანჯგალაძე.

ძვირფასია რამდენიმე კადრი, რომლებიც ამოღებულია პირველი ქართველი კინემატოგრაფისტის ვასილ ამაშუკელის ისტორიული ქმნილებიდან.

ასახულია რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს გამართული შემდეგი შეხვედრები და მომენტები: 1. ჭრებალოს გზაზე ხალხი მიაცილებს სავარძლით ჰაერში ატაცებულ აკაკის, ვინც ლექციას წაიკითხავს. 2. ბარაკონში შამადავლე ერისთავისას ტარდება ფერხული. მასში პოეტიც მონაწილეობს. 3. ნიკორწმინდისაკენ მიმავალ ხოტევის გზაზე უთვალავი ცხენოსნები ჯირითით მიაცილებენ მგოსანს. 4. აკაკის გასეირნება ხდება დაბა ონის ბაღში მანდილოსნებთან ერთად. 5. ლაილაშის მთავარ საბაზრო გზაზე ეტლს სავრძელი სცვლის. აღფრთოვანებული მასპინძლები და პოეტი სკოლის ეზოსაკენ მიემართებიან. 6. მღიმარი აკაკი ჭარტოა, აგრეთვე მხლებლებს ესაუბრება მოგზაურობის დამთავრების შემდეგ ქუთაისის ბაღში.

კინოფილმი „აკაკი წერეთელი“ შეუნელებელ ინტერესს იწვევს.

ქართულ დოკუმენტურ ფილმთა კინოსტუდიამ 1971 წელს გამოუშვა ვასილ ამაშუკელის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მოკლემეტრაჟიანი ნაწარმოები. მისი სულისჩამდგმელია რეჟისორი ალექსანდრე მამულაშვილი — პოპულარული კინოფილმის „აკაკი წერეთლის“ ავტორი.

ფილმში გადაღებულია განახლებული ქუთაისი—ინდუსტრიული ქალაქი ისტორიული ადგილებითურთ. მასში აღბეჭდილია კინოთეატრ „რადიუმის“ შენობა, უქიმერიონის მთა, ბაგრატის ტაძართან მდებარე მარჯანიშვილისეული ეზო და ასწლოვანი ოდასახლი, სადაც ვასილ ამაშუკელი ცხოვრობდა.

ბაგრატის ტაძრის გალავანში შეკრებილა სტუდენტ ექსკურსანტთა ჯგუფი. მათ შორის არის ვასილ ამაშუკელი. იგი ახალგაზრდებს შინ მიიწვევს.

თვალადი და დარბაისელი ვაჟკაცი მოგვითხრობს თავის სიჭაბუკეზე—ეხება მოსკოვსა და ბაქოში, თბილისსა და ქუთაისში ყოფნას, მადლიერებით იგონებს ისტორიული კინოფილმის შექმნის ინიციატორებს, ყურადღებას ამახვილებს გადაღების ზოგიერთ მომენტზე—თუ როგორ უჭირდა პრიმიტიული აპარატით მუშაობა, მაგრამ გატაცებული იყო, რადგან სახალხო მგოსნის მითითებას ასრულებდა. სამახსოვროა, რომ თვით აკაკიმ იხილა ამაშუკელის „მუნჯი“, მაგრამ მეტყველი სურათი და აღფრთოვანებული დარჩა.

რეჟისორმა ალექსანდრე მამულაშვილმა თავის ნაწარმოებში ოსტატურად ჩაურთო ამაშუკელისეული კადრები: მექვენდან გამგზავრება, აკაკის ლექცია ჭრებალოში, რაჭული ფერხული, შეხვედრები ონში, ნიკორწმინდასა და ლაილაშში. ალექსანდრე მამულაშვილს გამოყენებული აქვს მხატვარ კოტე ქავთარაძისეული ფოტოსურათებიც, მაყურებელს ატკბობს ვასილის ხმა.

ალექსანდრე მამულაშვილს გულმოდგინედ გადაუღია რაჭა-ლეჩხუმის ბუნებისა და კულტურის ძეგლები: ხვამლის მთა, საირმის „უდაბნო“, ნიკორწმინდისა და ბარაკონის ტაძრები, „მინდაციხე“.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ვფიქრობთ, 1971 წელს გადაღებულ კინოქრონიკას ახლა უკვე სრულყოფა ესაჭიროება და ახალი კინოქრონიკა უნდა შეივსოს შემდეგი კადრებით:

1. კინორეჟისორ ალექსანდრე მამულაშვილს შერჩევა-შემცირებისას ქრონიკის გარეთ დარჩა გადაღებული უცნობი მომენტები, რაც არქივში ინახება;

2. აუცილებელია მაყურებელმა მსახიობის პირით მაღისმიროს საქართველოს სახალხო პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის მიერ 1963 წელს ტელევიზიაში წარმოთქმული სიტყვა ვასილ ამაშუკელის [illegible] დოკუმენტური ისტორიული კინოფილმის კადრთა ფოტოალბომი. 1979, გვ. 16-17).

3. საჭიროა ვაჩვენოთ ვასილ ამაშუკელის იუბილე თბილისში 1972 წლის 2 ივნისს, რაც გადაღებული იქნა ტელევიზიით;

4. 1972 წლის 10 ივნისს ტელევიზიით ნაჩვენები იქნა ვასილისა და კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის საუბარი;

5. ქართულ ფილმთა პირველი რესპუბლიკური ფესტივალი ქუთაისში 1974 წელს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ვასილ ამაშუკელს, როგორც დოკუმენტური კინოს ფუძემდებელს, მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება. მანვე მიიღო საპატიო პრიზი, დიპლომი და საკუთარი ფირის ასლიც!

6. 1976 წლის გაზაფხულზე ტელევიზიით ვიხილეთ ვასილისა და კინომცოდნე გიორგი დოლიძის საუბარი;

7. 1977 წლის 27 აპრილს ტელევიზიამ მოამზადა და გადმოსცა ვასილ ამაშუკელის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო;

8. 1977 წლის 8 დეკემბერს ვასილ ამაშუკელის დაკრძალვა ქუთაისში გადაღებული იქნა კინოსტუდიის მიერ (რეჟისორები— შალვა ხომერიკი, შალვა ჩაგუნავა, ახალგაზრდა ოპერატორი დანელია). დაკრძალვა კინოფირზე გადაიღო ფოტოყურნალისტმა, არსენ ჩარკვიანმაც.

9. ვასილ ამაშუკელი მონაწილეობდა საქალაქო იუბილეებზე, რომლებიც ქუთაისში გაიმართა სხვადასხვა დროს შალვა დადიანის (1954 წ.) იოსებ გრიშაშვილის (1960 წ.), გიორგი ლეონიძის (1963), ლადო ასათიანის (1964 წ.) და ირაკლი აბაშიძის (1971 წ.) საპატივცემულოდ. გამოსაყენებელია ფოტომასალა ვასილის საოჯახო და სხვა საიუბილეო ალბომებიდან.

თუ ამგვარი ნაწარმოები შეიქმნება, ამ არა კინოქრონიკას, არამედ უკვე სრულყოფილ დოკუმენტურ კინოფილმს ვასილ ამაშუკელზე ქართველი მაყურებელი ყოველთვის დიდი ინტერესით გაეცნობა.

მიხეილ ალავიძე.



[illegible] ...ევა, [illegible] ...ლი თევზი [illegible] დარჩენილიყოს, [illegible] ...ებრივია, სა- [illegible] ...ნეობის უფრო გა- [illegible] გაზრდა აქვთ განზ- [illegible] ...თბურიც გამართეს, [illegible]

კურორტ „ლაშჭალის“ დამსვენებლებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნორმალური დასვენებისა და მკურნალობისათვის. ისინი გამოცდილი, ხელმაღლიანი მკურნალების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან, იღებენ მითითებებს, რჩევა-დარიგებებს.

სურათზე: ექიმი ნაირა ლარცულიანი ხელსაწყო ანალიზატორ „ექსან 6“-ით დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფს უკეთებს სისხლის ანალიზს.

ზ. გზოგაბვას ფოტო.

ილიაობა (ელიობა)

დღეს ელიობაა—ასე უწოდებს ამ ქრისტიანულ დღესასწაულს უბრალო ხალხი. იგი უხსოვარი დროიდან აღინიშნება საქართველოში და დაწესებულია ქართულ გადმოცემებში ღვთაება ელიად ტრანსფორმირებული ილია წინასწარმეტყველის (თეზბიტელის) საპატივცემულოდ.

გადმოცემით (სამეფოთა წიგნების მიხედვით) ილია ძველი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნეში ცხოვრობდა ჩრდილო ისრაელში. მას მოღვაწეობა დაუწყია აქაბის მეფობის დროს, როცა იეზვეს (იელოვა) კულტი დაჩრდილა ქანაანელი ღვთაების ბაალის კულტმა. ეს მოხდა უცხოელი დედოფლის იზაბელას გავლენით. ახალი ღვთაების პატივსაცემად მრავალი საკურთხეველი აიგო, გაჩნდნენ წინასწარმეტყველნიც, ხოლო იეზვეს წინასწარმეტყველები იდევნებოდნენ.

ილიამ ბაალის თაყვანისცემის გამო სამწლიანი გვალვის დადგომა უწინასწარმეტყველა ქვეყანას. ამან მეფე განარისხა და ილიამ გაქცევით უშველა თავს. ხეტიალის დროს მას კვებავდნენ ყვავები, ხორცითა და პურით ამარაგებდნენ.

წინასწარმეტყველება ახდა. სამი წლის თავზე გვალვა შეწყდა, მანამ კი ილია კარმიდის მთაზე შეხვდა ბაალის წინასწარმეტყველებს. მთაზე ააგეს სამსხვერპლო და მიიყვანეს შესაწირი დაკლული ხბოები. შეთანხმდნენ, რომ ჭეშმარიტი ღმერთი ის იქნებოდა, რომელიც ცეცხლს შეუნთებდა ცხოველებს. ბაალის 450 წინასწარმეტყველი ამაოდ ევედრებოდა თავის ღმერთს, ცეცხლი არ ჩნდებოდა. ილიას ერთი ლოცვაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სამსხვერპლოზე ცეცხლი აგიზგიზებულიყო. ამის დამნახველმა ხალხმა ირწმუნა იახვეს უზენაესობა და ილიას ბრძანებით დასაჯა ბაალის წინასწარმეტყველნი.

მომხდარის შესახებ გაიგო. აქაბის ცოლმა იზაბელამ. დედოფლის რისხვას წინასწარმეტყველი გაქცევით გადაურჩა. ხორივის მთაზე მას სიოს სახით გამოეცხადა ღმერთი.

ბიბლიური თქმულებები გვიამბობენ ილიას სასწაულებრივ შესაძლებლობებზე. ერთხელ თურმე მან შეიცოდა საწყალი ქვრივი და „გაუმრავლა“ ფქვილი და კარაქი, მერე კი მკვდრეთით აღუდგინა შვილი, ამგვარი სასწაულები მან მრავალჯერ მოახდინა და ამით ღვთის რწმენა განუმტკიცა ხალხს.

როცა ჟამმა დაჰკრა, ილიამ წინასწარმეტყველის სამოსი და ძალაუფლება გადასცა თავის მოსწავლეს ელისეს, თვითონ კი ჩაჯდა უეცრად გამოჩენილ ცეცხლოვან ეტლში, რომელშიც ცეცხლოვანი რაშები იყო შებმული და ცაში გაუჩინარდა. ქრისტიანული თქმულებების მიხედვით ილია (ელია) ცოცხალია. იგი კვლავ დაბრუნდება დედამიწაზე, რათა აქ მოკვდეს, რადგან მასაც არ შეუძლია განთავისუფლდეს პირველქმნილი ცოდვისაგან, გადაურჩეს სიკვდილით დასჯას. მის დაბრუნებას მოჰყვება მესიის მოვლინება და ქვეყნის დასასრული.

როგორც ცნობილია, ძველ საქართველოში (და საერთოდ ქრისტიანულ სამყაროში) მორწმუნენი საკუთარ დაბადების დღეს ისე არ აღნიშნავდნენ, როგორც თანამოსახელე წმინდანთა დღესასწაულებს: ნინოობას, მარიამობას, გიორგობას. საგურამოში ყოველწლიურად აღნიშნავდნენ ელიობას, როგორც დიდი ილიას დღესასწაულს, მისი სახელობის დღეს.

განგებამ ისე ინება, რომ ელიობა ქართველთათვის ორმაგ დღესასწაულად იქცა. 1988 წელს ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდათა შორის შერაცხა ილია ჭავჭავაძე—ერის მამად წოდებული დიდი მამულიშვილი, უწოდა მას წმინდა ილია მართალი და ხსენების დღედ 2 აგვისტო (20 ივლისი) დაწესა. ამ დღეს ქართული ეკლესია იხსენიებს აგრეთვე მე-18 საუკუნეში სპარსთაგან წამებულ წმინდა სალომე ქართველს და ეს არის ანგელოზის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-სი.

ია ხმელიძე.

გლეხი ქალაქიდან

ნოვგოროდის ოლქი. ლენინგრადელი იური მურანოვი ამ ცოტა ხნის წინ დასახლდა ვალდაისკის რაიონის სოფელ დომაშში. მისი მეურნეობა ჯერ მცირეა: ორი მეწველი ძროხა, ამდენივე მოზარდი და მოზვერი, აქვს მოტობლოკი ნაკრები მოწყობილობით მიწის ნაკვეთის დასამუშავებლად.

ახლადგამომცხვარი გლეხი ფიქრობს შეიძინოს საბჭოთა მეურნეობისაგან 12 ჰექტარი მიწა და მისი დასამუშავებელი ტრაქტორი, განავითაროს ფერმა 10-12 ძროხით. მათი საკვებით უზრუნველყოფისათვის, მოიწევს ბალახს და მარცვლეულს. მიღებული რძის ნაწილი ფიქრობს ჩააბაროს საბჭოთა მეურნეობას მისი ვალების დასაფარავად.

სოფელ დომაშში მურანოვებს სხვამაც მიბაძათ. ე. კუდროვმა რომელიც ადრე ლენინგრადში ქარხანაში მექანიკად მუშაობდა, გადაწყვიტა შეუდგეს გლეხურ მეურნეობას.

სურათზე: იური და გალინა მურანოვები.

მოკლე ამბები

ჭაშჭრელებზე ეროვნული ბანკი—ბანკი ეროვნული

ღელასთან ერთად

უდოკუმენტო მგზავრი აღმოაჩინეს სადგურ ზაბაიკალსკის შებაუღებმა, როცა საზღვარგარეთ გასაგზავნ ტვირთს სინჯავდნენ. ამასთან ის ასაკით სულ რამდენიმე წუთისა იყო და იმალებოდა საბჭოთა ცირკის დასის ნივთებში, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიემგზავრებოდა გასტროლებზე.

არტისტებთან ერთად საზღვარგარეთ მოგზაურობაში გაემგზავრა გაწვრთნილ ცხოველთა ჯგუფიც. ისინი ცოტა ხნით შეჩერდნენ საზღვარზე ფორმალურობის დასაცავად. მაგრამ ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, რათა ვეფხვ ჩიუიკს—ერთ-ერთი ატრაქციონის მონაწილეს—შთამომავლობა გაემრავლებინა.

სასაზღვრო-სავეტერინარო კონტროლის თანამშრომლებმა გამოიკვლიეს პატარა და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაუფორმეს დოკუმენტები: მეტად მრისხანედ გამოიყურებოდა ამ დროს დედა. ისე, რომ ვეფხვის მოკვლერმა, რომელსაც მეტსახელად გურანი დაარქვეს, სრულიად ლეგალურად შესძლო გადაელახა კორდონი და ჯრ დასცილებოდა დედას.

გაზიანი წყლით... მორწყვის შემდეგ

ტოლიატი (კუიბიშევის ოლქი). მოულოდნელი გასაღების ბაზარი გაუჩნდა ნახშირორჟანგს, რომელსაც გამომიმუშავებს საწარმოო გაერთიანება „ტოლიატაზოტი“. ადგილობრივმა მეგაღეებმა შენიშნეს, რომ თუ ხენდროს გაზიანი წყლით მოვრწყავთ, მისი ნაყოფიერება ერთნახევარჯერ გაიზრდება. ორჯერ სწრაფად იზრდება და უფრო სურნელოვანი ხდება ვარდი. თუ მას გაზიანი წყლით მოვრწყავთ. განსაკუთრებით ეფექტიანია გაზიანი წყალი ტუტიან ნიადაგებში. მორწყვის დროს ერთ ლიტრ წყალზე იღებენ 0,31-0,5 გრამ ნახშირორჟანგს.

რაიონის „სანიტარი“ — კოოპერატივი

საბურთალოს რაიონის სპეცავტომეურნეობამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. აქ შეიქმნა კოოპერატივი „სისუფთავე—90“.

რა მისცა „ავტონომიამ“ სპეცავტომეურნეობას?

—ამიერიდან ჩვენ ორი ბატონის მსახური აღარ ვართ,—თქვა კოოპერატივი „საბურთალო—90“—ის თავმჯდომარემ თაშაზ გუჯაბიძემ.— დავიწყეთ იმით, რომ შევამცირეთ მუშაკთა შტატები, ხოლო დანარჩენებს ხელფასი გავუდიდეთ. ძნელია შემოსავლის კონკრეტული ციფრის დასახელება, მაგრამ ყოველივე აქედან გამომდინარე სოლიდური თანხა შეგროვდება. ჩვენ უკვე ყაირათიანად თვითონვე განვაგებთ საკუთარ სახსრებს. და რაში უნდა დავაბანდოთ ფული, ესეც ძალიან კარგად ვიცით. საჭიროა გავაახლოთ ავტოპარკი, [illegible] სარემონტო ბაზა, [illegible] მუშაკთა სპეციალ[illegible] [illegible] ... [illegible] 340 [illegible]

საცმლისა და ინვენტარისათვის.

სპეცავტომეურნეობის კარმიდამოს ახლა ვეღარ იცნობთ. მას შემოვლებული აქვს ახალი მესერი, ტერიტორია დასუფთავებულია, „პირდაბანილები“ დგანან ნაგვის საზიდები. არც რაიონის საბინაო—საექსპლოატაციო ტრესტი გვსაყვედურობს: დროულად, გრაფიკის მიხედვით, გამოაქვთ სახლებიდან ნაგავი, ყოველთვის დაგვილია ქუჩები.

სხვათა შორის, განზრახული გვაქვს ჩავატაროთ ექსპერიმენტი. ორ მაღლივ სახლში დავხურავთ ბუნკერებს და მოსახლეობას დავურიგებთ ცელოფანის პარკებს, რომლებსაც ნარჩენებით გავსების შემდეგ ჩაყრიან კორპუსთან მდგარ კონტეინერში. რა საჭიროა ბუნკერები? ბევრი მათგანის კარებები დაზიანებულია, დეზპუნქტები, როგორც წესი, მათ გვერდს უვლიან. საკვების ნარჩენები, რომლებითაც მუდამ სავსეა ბუნკერების შიდა ნაწილი, ხელს უწყობს ვირთხებისა და მწერების გაჩენას. აქ კი დილით გამოხვალ გარეთ პარკს ჩააგდებ კონტეინერში—იოლიცაა და სისუფთავე დაცულია. ვფიქრობთ, ეს ექსპერიმენტი მხარდაჭერას პოვებს მოსახლეობაში, მით უმეტეს, რომ პარკებით მომარაგებას ჩვენს თავზე ვიღებთ.

(საქინფორმი).

ბილოსავთ

თალიკო ნესტორის ასულ სალინაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ულევ სიცოცხლეს.

ნანა და გოგი გვიშიანები.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

ნელი ქომეთიანის

გარდაცვალების გამო.

ნანული ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

ნანული ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

ნანული მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

ნანული ხეცურიანი-მუშკუდიანი.

ნანული ბარბაქაძე.

ნანული ბარბაქაძე.

**ნანული ბარბაქაძე